

## თანამშრომლობის მემორანდუმი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და

„ა(ა)იპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“-ს შორის

ქ. ბათუმი

6- თებერვალი 2019 წ.

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ (შემდეგში „ბსუ“), წარმოდგენილი რექტორის ასოც. პროფესორის მერაბ ხალვაშის მიერ და მეორე მხრივ „ა(ა)იპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის“ ს/კ245608597 (შემდეგში „საჯარო ბიბლიოთეკა“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ინგა გოგიბერიძის მიერ, (შემდეგში „მხარეები“) თანხმდებიან პროფესიულ (მოდულურ) საგანმანათლებლო სფეროში თანამშრომლობის შესახებ შემდეგზე:

### მხარეთა უფლება-მოვალეობები

- „საჯარო ბიბლიოთეკა“ უზრუნველყოფს პროფესიული მოდულური პროგრამის „ბიბლიოთეკარის“-ს სტუდენტთა გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკის გავლას. ასევე უზრუნველყოფს მოდულით გათვალისწინებული სხვა საკითხების შესწავლას; პრაქტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით განმტკიცების მიზნით, მხარეებს შორის შეთანხმებული კონტიგენტის ფარგლებში,
- მხარეები:
  - დარგობრივი კომპეტენციის ჩამოყალიბების მიზნით, მონაწილეობას მიიღებნ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და ა. შ.);
  - დაგეგმვენ და განახორცილებენ ერთობლივ სასწავლო ტრენინგებს, საინფორმაციო შეხვედრებს და სხვა;
  - უზრუნველყოფენ მოდულური პროფესიული პროგრამის „ბიბლიოთეკარი“-ს ფარგლებში, გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკის დროს სტუდენტებმა ისარგებლონ მოდულით გათვალისწინებული ტექნიკური აღჭურვილობით და სასწავლო რესურსებით.

### მემორანდუმის მოქმედების ვადა და მხარეთა რეკვიზიტები

წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერისთანავე და ძალაშია მის გაუქმებამდე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტი“

(ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. 35/32)

მერაბ ხალვაში

რექტორი, სპოცირებული პროფესორი

თარიღი:



„ა(ა)იპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“

ქ. ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. 21

ინგა გოგიბერიძე

დირექტორი

თარიღი:

